Datacubed Health
კონფიდენციალურობის პოლიტიკა:
ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 აპრილი

შესავალი

თქვენი კონფიდენციალურობა ჩვენთვის, Datacubed Health-ში, მნიშვნელოვანია. ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა („პოლიტიკა“) განმარტავს, თუ როგორ შეიძლება, შევაგროვოთ, გამოვიყენოთ და გავაზიაროთ პერსონალური ინფორმაცია. ის ეხება ჩვენს ვებსაიტს, სერვისებს, ინფორმაციას, ინსტრუმენტებს, ფუნქციონალურობას, განახლებებს და მსგავს მასალებს (ერთობლივად, „სერვისები“). თქვენ გაქვთ რამდენიმე უფლება თქვენს ინფორმაციასთან დაკავშირებით. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ პოლიტიკა, რათა გაიგოთ, რას ვაკეთებთ ჩვენ და რა უფლებები გაქვთ.

ინტეგრირებული პირობები

შემდეგი დამატებითი პირობები ინტეგრირებულია ამ პოლიტიკაში, ისე, რომ ისინი სრულად არის ამ დოკუმენტის არსებითი ნაწილი:

- საბოლოო მომხმარებლის მომსახურების პირობები
- ბავშვთა კონფიდენციალურობის პოლიტიკა
- ქუქი-ფაილების პოლიტიკა

ვინ ვართ ჩვენ

ჩვენ ვართ Data Cubed, LLC d/b/a Datacubed Health. ჩვენთან დაკავშირება შესაძლებელია ელფოსტაზე legal@datacubed.com და მისამართზე:

Datacubed Health
630 Freedom Business Center
3rd Floor
King of Prussia, PA 19406

Datacubed Health არის პიონერი ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც უკეთეს მეცნიერებას და უფრო ჯანსაღ საზოგადოებებს რეალობად აქცევს. ჩვენ ვიყენებთ ინდივიდუალურად მორგებულ გადაწყვეტებს მონაცემთა დაფიქსირებისთვის, მათ შორის სმარტფონის აპლიკაციებს, სატარებელ მოწყობილობებს, სახლის შიდა და გარემოს სენსორებს, პაციენტებთან დისტანციური ურთიერთობისთვის და ვირტუალური კლინიკური კვლევებისთვის. კვლევებთან, პაციენტების ჩართულობის ინიციატივებთან ან პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ კომპანიების და ჯანდაცვის ორგანიზაციების („კლინიკური კვლევები“) და საგანმანათლებლო დაწესებულებების („აკადემიური კვლევები“) სახელით, ჩვენ ხანდახან ინფორმაციას ვაგროვებთ თქვენგან.

„ჩვენ“, „ჩვენი“ და „ჩვენს“ მიუთითებს Datacubed Health-ზე. „მესამე მხარე“ ნიშნავს პირს, ვინც არ არის ჩვენ ან თქვენ.

ჩვენ ვართ კლიენტი მონაწილეების მიერ ჩვენთვის მოწოდებული პერსონალური ინფორმაციის დამმუშავებლები. ჩვენ ვართ Datacubed Health-ის მონაწილეების მიერ ჩვენთვის მოწოდებული პერსონალური ინფორმაციის მაკონტროლებელი.

ვინ ხართ თქვენ

“პოლიტიკაში”, “თქვენ” ნიშნავს თქვენ, როგორც:

- კლიენტი – Datacubed Health-ის გამოყენებით მომუშავე ბიზნესის თანამშრომელი ან წარმომადგენელი
- კლიენტი მონაწილე – ფიზიკური პირი, რომელსაც დაუკავშირდა ბიზნესი და რომელიც მონაწილეობს Datacubed Health-ის მიერ ბიზნესის სახელით ჩატარებულ კვლევაში.
- Datacubed Health-ის მონაწილე – ფიზიკური პირი, რომელიც მონაწილეობს Datacubed Health-ის მიერ საკუთარი სახელით ჩატარებულ კვლევაში.

თქვენ, როგორც კლიენტი, ხართ კლიენტი მონაწილის პერსონალური ინფორმაციის მაკონტროლებელი, რომელსაც ჩვენ გვაწვდით.

რა სამართლებრივი საფუძველი გვაქვს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისთვის

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას შემდეგის საფუძველზე:

- თანხმობა, რომელსაც თქვენ გვაძლევთ ჩვენ ან ჩვენს კლიენტს ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევებთან დაკავშირებით. თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს გააუქმოთ თქვენი თანხმობა. თქვენ შეგიძლიათ, გააუქმოთ თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თქვენი თანხმობა, თუ დაგვიკავშირდებით შემდეგ მისამართზე: legal@datacubed.com ან თუ დაუკავშირდებით ჩვენს კლიენტს, კვლევის სპონსორს, იმ კლინიკური ცენტრის მეშვეობით, სადაც კვლევა ტარდება. დამუშავება, რომელიც ხორციელდება „თანხმობის“ სამართლებრივი საფუძვლით კვლევებთან დაკავშირებით, შემდეგია:
    - კლიენტი მონაწილეებისა და Datacubed Health-ის მონაწილეებისგან პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და
    - პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება სერვისების მიწოდების მიზნით.
- იმ ფარგლებში, რაც არ ლახავს თქვენს უფლებებს, მოქმედი კანონმდებლობით, ჩვენი ლეგიტიმური ბიზნეს ინტერესების შესაბამისად. „ლეგიტიმური ბიზნეს ინტერესების“ სამართლებრივი საფუძვლით განხორციელებული დამუშავება მიზნად ისახავს შემდეგს:
    - სერვისებისა და ტექნიკური მხარდაჭერის საკითხებსა და მოთხოვნებზე რეაგირება,

- თქვენი მოთხოვნების შესრულება, რომლებიც გაგზავნილია ჩვენს ვებსაიტსა და დახმარების სამსახურში ან გაგზავნილია შემდეგ მისამართზე: legal@datacubed.com
- სერვისების განვითარება და გაუმჯობესება

რა პერსონალურ ინფორმაციას ვაგროვებთ

თუ ხართ კლიენტი მონაწილე ან Datacubed Health-ის მონაწილე აკადემიურ კვლევაში, ჩვენ შეიძლება, შევაგროვოთ შემდეგი ინფორმაცია, როდესაც თქვენ დარეგისტრირდებით მონაწილეობასთან დაკავშირებით და მონაწილეობთ აკადემიურ კვლევაში:

- სახელი და გვარი
- მისამართი
- დაბადების თარიღი
- დაბადების ადგილი
- ელფოსტის მისამართი
- მომხმარებლის სახელი
- ინფორმაცია თქვენი აქტივობებისა და სერვისებში გამოყენებული მოწყობილობების შესახებ
- გამოყენების ადგილმდებარეობა გეოფენინგის (Geofencing) ფუნქციებით, საჭიროების შემთხვევაში
- სატელეფონო მოწყობილობის ინფორმაცია
- Bluetooth მოწყობილობის ინფორმაცია
- სატელეფონო კონტაქტები
- მობ. კავშირის ფიჭური მეტამონაცემები
- მოკლე ტექსტური შეტყობინების მეტამონაცემები
- IP მისამართები
- სოციალური მედიის მეტამონაცემები
- დემოგრაფიული ინფორმაცია (ეთნიკური კუთვნილება, სქესი, სიმაღლე და წონა)
- სამედიცინო მდგომარეობა
- სამედიცინო დოზირების და/ან დოზირების ცვლილების დეტალები
- სამედიცინო ინიექციის ადგილისა და ინიექციის თარიღის დეტალები
- გამოკითხვის ინფორმაცია ჯანმრთელობის, ეკონომიკისა და შედეგების კვლევის (HEOR) მონაცემებისთვის

თუ ხართ კლიენტი მონაწილე ან Datacubed Health-ის მონაწილე კლინიკურ კვლევაში, ჩვენ შეიძლება, შევაგროვოთ შემდეგი ინფორმაცია, როდესაც თქვენ დარეგისტრირდებით მონაწილეობის მიზნით და მონაწილეობას მიიღებთ კლინიკურ კვლევაში:

- სახელი და არასავალდებულოდ, გვარი
- ელფოსტის მისამართი

- ინფორმაცია თქვენი აქტივობებისა და სერვისებში გამოყენებული მოწყობილობების შესახებ
- გამოყენების ადგილმდებარეობა გეოფენინგის (Geofencing) ფუნქციებით, საჭიროების შემთხვევაში
- IP მისამართები
- სამედიცინო მდგომარეობა
- სამედიცინო დოზირების და/ან დოზირების ცვლილების დეტალები
- სამედიცინო ინიექციის ადგილისა და ინიექციის თარიღის დეტალები
- გამოკითხვის ინფორმაცია ჯანმრთელობის, ეკონომიკისა და შედეგების კვლევის (HEOR) მონაცემებისთვის

თუ ხართ კლიენტი, ჩვენ შეიძლება, შევაგროვოთ შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი და გვარი
- ბიზნეს მისამართი
- ბიზნესის ტელეფონის ნომერი
- ბიზნესის ელფოსტის მისამართი
- ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნეთ
- ბილინგის ინფორმაცია
- სხვა დეტალები, რომლებიც საჭიროა ჩვენი სერვისების მისაწოდებლად თქვენთვის

როგორც კლიენტი, თქვენ ხართ ამ ინფორმაციის მაკონტროლებელი, ჩვენ კი ამ ინფორმაციის დამმუშავებელი.

როგორ შეიძლება, გამოვიყენოთ პერსონალური ინფორმაცია

ჩვენ ვიყენებთ თქვენგან, როგორც კლიენტი მონაწილისგან ან Datacubed Health-ის მონაწილისგან, შეგროვებულ ინფორმაციას თქვენთვის სერვისების მოწოდების მიზნით. ჩვენ, ასევე, შეიძლება, გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია ჩვენი სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების, თქვენი მოთხოვნების დაკმაყოფილების და კანონით ნებადართული სხვა მიზნებისთვის.

თუ თქვენ ხართ კლიენტი მონაწილე, თქვენი ინფორმაციის დამუშავება შემოიფარგლება კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. ჩვენ ვუზიარებთ მხოლოდ ფსევდონიმიზებულ მონაცემებს კლიენტს, კვლევის სპონსორს.

ჩვენ ვიყენებთ კლიენტებისგან შეგროვებულ ინფორმაციას თქვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად და თქვენთვის სერვისების მოსაწოდებლად.

როგორ შეიძლება, გავაზიაროთ პერსონალური ინფორმაცია

ჩვენ კონფიდენციალურად ვუზიარებთ პერსონალურ ინფორმაციას ჩვენს სერვისების მომწოდებლებს, რათა მათ მოგვაწოდონ სერვისები ჩვენ და თქვენ, რათა ჩვენ შევძლოთ სერვისების მიწოდება:

- Amazon Web Services, Inc. (AWS) უზრუნველყოფს სერვერებს შეერთებულ შტატებსა (აშშ) და გერმანიაში, რომლებიც ინახავს თქვენგან შეგროვებულ ყველა პერსონალურ ინფორმაციას
- აშშ-ში მდებარე Rocket Science Group LLC, ბიზნეს სახელწოდებით Mailchimp, გვეხმარება ელფოსტის კომუნიკაციის მართვაში.
- Stefanini Group, რომელიც მდებარეობს აშშ-ში, ბელგიაში, რუმინეთში, ჩინეთში, პოლონეთსა და ფილიპინებში, გვეხმარება დახმარების ბილეთების მართვაში
- გერმანიასა და აშშ-ში მდებარე Twilio, Inc. გვეხმარება ტექსტური შეტყობინებების გაგზავნასა და მიღებაში და უზრუნველყოფს ვიდეოკონფერენციას
- გერმანიასა და აშშ-ში მდებარე Splunk, Inc. და გერმანიასა და აშშ-ში მდებარე Sisense, Ltd. გვეხმარებიან პერსონალური ინფორმაციის ანალიზსა და მის შესახებ ეფექტურობის ანგარიშების მომზადებაში

ჩვენი კლიენტების მითითებით, ჩვენ ვუზიარებთ პერსონალურ ინფორმაციას საავადმყოფოებსა და კლინიკებს, რომლებიც ჩვენი კლიენტების სახელით სერვისებს უზრუნველყოფენ.

ჩვენ შეიძლება, გავუზიაროთ პერსონალური ინფორმაცია სამთავრობო და/ან სამართალდამცავ ორგანოებს იმ შემთხვევაში, რამდენადაც ჩვენ ჩავთვლით, რომ ეს აუცილებელია კანონთან შესაბამისობისთვის, მაგალითად, სასამართლოს ბრძანების ან უწყების საპასუხოდ, სამართლებრივი სარჩელისგან თავის დასაცავად ან ჩვენი კანონიერი უფლებების უზრუნველყოფისთვის ან დასაცავად ან სხვაგვარად, როგორც ეს ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, გადავხედოთ მონაცემთა გამჟღავნების შესახებ ნებისმიერი სასამართლო აქტის ან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას, გავასაჩივროთ სასამართლო უწყება ან სასამართლო გადაწყვეტილება, თუ გულდასმით შეფასების შემდეგ დავასკვენით, რომ არსებობს ამის გაკეთების საფუძველი, მოვითხოვოთ დროებითი ზომები სასამართლო უწყების ან სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედების შესაჩერებლად მანამ, სანამ სასამართლო არ გადაწყვეტს საქმეს არსებითად, არ გავამჟღავნოთ მოთხოვნილი პერსონალური მონაცემები მანამ, სანამ ეს არ იქნება მოთხოვნილი მოქმედი საპროცესო წესებით და მივაწოდოთ მინიმალური დასაშვები ინფორმაცია სასამართლო უწყებაზე ან სასამართლოს ბრძანებაზე პასუხის გაცემისას, სასამართლო უწყების ან სასამართლოს ბრძანების გონივრული ინტერპრეტაციის საფუძველზე. გაზიარებული ინფორმაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მოითხოვს სასამართლო აქტი ან სასამართლოს ბრძანება.

ჩვენ შეიძლება, გავამჟღავნოთ ჩვენს მფლობელობაში არსებული პერსონალური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ეს აუცილებელია ან მიზანშეწონილია კრიმინალური საქმიანობის, პირადი დაზიანების, ქონების დაზიანების ან სხეულის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. გამჟღავნებული პერსონალური ინფორმაცია დამოკიდებულია გარემოებებზე.

შესაძლოა, თქვენი ინფორმაცია გადავცეთ დაინტერესებულ უფლებამონაცვლეს, რაც შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება მესამე პირებით, შეძენის, გაყიდვის, აქტივების გაყიდვის, შერწყმის ან გაკოტრების შემთხვევაში. თქვენს ინფორმაციასთან დაკავშირებით შემდგომში გამოყენებული პოლიტიკა შეიძლება, განისაზღვროს უფლების მიმღების მიერ, თუ სხვაგვარად არ არის აკრძალული კანონით. გადაცემული პერსონალური ინფორმაცია შედგენილი იქნება ზემოთ აღწერილი წესით შეგროვებული პერსონალური ინფორმაციისგან.

ნებისმიერი მესამე მხარე, რომელთანაც ჩვენ ვუზიარებთ თქვენს ინფორმაციას, უზრუნველყოფს თქვენი ინფორმაციის იმავე ან თანაბარ დაცვას, როგორც ეს მითითებულია პოლიტიკაში და მოთხოვნილია Apple-ის აპლიკაციების გაიდლაინებით.

სად ვინახავთ და ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს

ჩვენ თქვენგან შეგროვებულ ინფორმაციას ვინახავთ AWS-ის მიერ მოწოდებულ სერვერებზე აშშ-სა და ევროკავშირში (EU). ტესტირების მიზნებისთვის, თქვენგან შეგროვებული ინფორმაცია, ასევე, შეიძლება ინახებოდეს აშშ-ში ჩვენი თანამშრომლების მიერ გამოყენებულ დესკტოპ და ლეპტოპ კომპიუტერებზე. ევროპის ეკონომიკურ ზონაში (EEA), გაერთიანებულ სამეფოსა (UK) და შვეიცარიაში თქვენგან შეგროვებული ინფორმაცია შეიძლება, გადაცემული და შენახული იყოს EEA-ს, დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის ფარგლებს გარეთ, რადგან ჩვენი ოპერაციები და ჩვენი ზოგიერთი სერვერი მდებარეობს აშშ-ში. ჩვენ ვაფორმებთ სტანდარტულ სახელშეკრულებო დებულებებს თქვენი ინფორმაციის EEA-ს, დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის ფარგლებს გარეთ გადასაცემად. ჩვენ გამოვედით ევროკავშირი-აშშ-ის კონფიდენციალურობის ფარის ჩარჩოდან (Privacy Shield Framework) და შვეიცარია-აშშ-ის კონფიდენციალურობის ფარის ჩარჩოდან, როგორც ეს განსაზღვრულია აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის ევროპის ეკონომიკური ზონიდან და შვეიცარიიდან აშშ-ში გადაცემული პერსონალური ინფორმაციის შეგროვებასთან, გამოყენებისა და შენახვასთან დაკავშირებით; ჩვენ გავაგრძელებთ კონფიდენციალურობის ფარის (Privacy Shield) პრინციპების გამოყენებას პერსონალური ინფორმაციის მიმართ, რომელიც მივიღეთ კონფიდენციალურობის ფარის ჩარჩოებში მონაწილეობის დროს. კონფიდენციალურობის ფარის პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს https://www.privacyshield.gov/.

რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება, შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები

ჩვენ შეიძლება, შევინახოთ თქვენი ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული ვადით. თუ არ არსებობს წინააღმდეგობრივი საკანონმდებლო მოთხოვნა, ჩვენ მას მხოლოდ

იმდენ ხანს შევინახავთ, რამდენიც საჭირო იქნება სერვისების მისაწოდებლად. ჩვენ, ასევე, შეიძლება, შევინახოთ თქვენი ინფორმაცია გონივრული ვადის განმავლობაში. მაგალითად, სადაც გამოიყენება აშშ-ის კანონმდებლობა და სადაც ამას მოითხოვს აშშ-ის კანონი, ჩვენ ვინახავთ დაცულ ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას 7.5 წლის განმავლობაში ან კანონით სხვაგვარად მოთხოვნილი ან დაშვებული წესით, ხოლო სადაც გამოიყენება კლინიკური კვლევების ანგარიშების ინდუსტრიული სტრუქტურისა და შინაარსის ჰარმონიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების საერთაშორისო კონფერენციის დებულებები, კლინიკური კვლევის მონაცემები ინახება მომსახურების შესრულებიდან 25 წლის განმავლობაში ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად უფრო დიდხანს.

.

სად გვიპოვოთ სოციალურ მედიაში და ქუქი-ფაილები

შეგიძლიათ, გვიპოვოთ Facebook-ზე, Twitter-სა და LinkedIn-ზე. როდესაც ჩვენს სოციალური მედიის გვერდებს ეწვევით, შეგიძლიათ, აკონტროლოთ ქუქი-ფაილების პარამეტრები, რომლებიც არ არის აუცილებელი თქვენ მიერ მოთხოვნილი სერვისების მისაწოდებლად. ქუქი-ფაილი არის თქვენს მოწყობილობაზე განთავსებული პატარა ფაილი, რომელიც www.datacubed.com ვებსაიტის ფუნქციებისა და ფუნქციონალურობის გამოყენების საშუალებას იძლევა. Datacubed Health-ის ქუქი-ფაილების პოლიტიკა განმარტავს, თუ რა არის ქუქი-ფაილები, როგორ ვიყენებთ მათ და როგორ შეგიძლიათ, მართოთ ქუქი-ფაილები. თქვენ მიერ მოთხოვნილი სერვისისთვის აუცილებელი იმ ქუქი-ფაილების გარდა, თქვენს მოწყობილობაზე არცერთი ქუქი-ფაილი არ დარჩება და ჩვენ არ შევინახავთ ქუქი-ფაილებიდან შეგროვებულ ინფორმაციას კანონით ნებადართულზე მეტი ხნის განმავლობაში.

თქვენი უფლებები თქვენს ინფორმაციასთან დაკავშირებით

თქვენ გაქვთ უფლება:

- იცოდეთ, ვაგროვებთ, ვიყენებთ ან ვაზიარებთ თუ არა თქვენს ინფორმაციას და მოითხოვოთ ამ ინფორმაციაზე წვდომა
- მოითხოვოთ თქვენი ინფორმაციის შესწორება, თუ ის არაზუსტი ან არასრულია
- მოითხოვოთ თქვენი ინფორმაციის წაშლა, თუ
    - თქვენი ინფორმაცია აღარ არის საჭირო იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ის შეგროვდა, გამოყენებულ იქნა ან გაზიარდა
    - თქვენ აუქმებთ თანხმობას, რომელზეც დაფუძნებულია შეგროვება, გამოყენება ან გაზიარება
    - თქვენ ეწინააღმდეგებით შეგროვებას, გამოყენებას ან გაზიარებას და არ არსებობს უფრო აღმატებული ლეგიტიმური ინტერესი შეგროვების, გამოყენების ან გაზიარების გასაგრძელებლად
    - თქვენ ეწინააღმდეგებით თქვენი ინფორმაციის შეგროვებას, გამოყენებას ან გაზიარებას პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის
    - თქვენი ინფორმაცია უკანონოდ შეგროვდა, გამოყენებულ იქნა ან გაზიარდა

    - თქვენი ინფორმაცია უნდა წაიშალოს სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად
    - თქვენი ინფორმაცია შეგროვდა ბავშვებისთვის ონლაინ სერვისების შეთავაზების მიზნით
- მიიღოთ ჩვენგან ინფორმაციის შეგროვებაზე, გამოყენებაზე ან გაზიარებაზე შეზღუდვა, თუ
    - თქვენ ეჭვქვეშ აყენებთ თქვენი ინფორმაციის სიზუსტეს
    - თქვენ ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე წინააღმდეგობა გაუწიეთ შეგროვებას, გამოყენებას ან გაზიარებას და ჩვენ განვიხილავთ, აღემატება თუ არა ჩვენი ან მესამე მხარის ლეგიტიმური ინტერესი თქვენს ინტერესს
    - შეგროვება, გამოყენება ან გაზიარება უკანონოა და თქვენ ეწინააღმდეგებით წაშლას და ამის ნაცვლად მოითხოვთ გამოყენების შეზღუდვას
    - ჩვენ აღარ გვჭირდება თქვენი ინფორმაცია, მაგრამ თქვენ გჭირდებათ ეს ინფორმაცია სამართლებრივი მოთხოვნის აღსაძრავად, განსახორციელებლად ან დასაცავად
- რათა შეძლოთ, თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის თქვენთან წაღება და ამ ინფორმაციის სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემა, სადაც ამ ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება ან გაზიარება ხორციელდება ავტომატიზირებული საშუალებებით და ეფუძნება თქვენს თანხმობას ან ხელშეკრულების შესრულებას
- შეეწინააღმდეგოთ მონაცემების შეგროვებას, გამოყენებას ან გაზიარებას, ლეგიტიმური ინტერესის ან სამართლებრივი დავალების შესრულების, პირდაპირი მარკეტინგის და სამეცნიერო/ისტორიული კვლევისა და სტატისტიკის მიზნებიდან გამომდინარე
- არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზირებულ დამუშავებაზე (მათ შორის, პროფილირება) დაფუძნებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენთვის სამართლებრივ შედეგებს იწვევს ან ანალოგიურად მნიშვნელოვნად მოქმედებს თქვენზე.
- საზედამხედველო ორგანოში საჩივრის შეტანა

როგორ შეიძლება, განახორციელოთ თქვენი უფლებები

თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს მიიღოთ წვდომა თქვენი ანგარიშის ინფორმაციაზე, შეასწოროთ ან წაშალოთ ის ან გააუქმოთ ანგარიში, ჩვენთვის ელფოსტის გამოგზავნით მისამართზეlegal@datacubed.com. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლოა, თქვენ შესახებ გარკვეული ინფორმაცია შევინახოთ.

მარეგულირებელი კანონმდებლობა

ამ პოლიტიკას არეგულირებს ევროკავშირის კანონმდებლობა.

ცვლილებები პოლიტიკაში

ეს პოლიტიკა მიმდინარეა ზემოთ მოცემული ძალაში შესვლის თარიღისთვის. ჩვენ შეიძლება, ამა თუ იმ დროს შევცვალოთ პოლიტიკა, ამიტომ პერიოდულად გადაამოწმეთ ის. ნებისმიერ ცვლილებას პოლიტიკაში ჩვენს საიტზე გამოვაქვეყნებთ შემდეგ მისამართზე: www.datacubed.com.